ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 10

ქ. თბილისი, 29 მაისი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 26 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

   /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

2. კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

   /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისათვის შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება

   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№13324/10, 22.05.2024), რომლითაც თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2000 წლის კურსდამთავრებულ **დავით ზაქაიძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რის საფუძველზეც კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების გარდა აუცილებელი გახდა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად კურსდამთავრებულის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

წარმოდგენილი საარქივო მასალებით დაადგინა, რომ 1996 წლის 30 აგვისტოს მათემატიკაში ტესტირების შედეგების საფუძველზე II ნაკადის აბიტურიენტი დავით იურის ძე ზაქაიძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/643, 04.09.1996).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის 1999-2000 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულ **დავით ზაქაიძეს** საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 19-20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით <u>მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით</u>, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2000 წლის 10 ივლისის №4/613 ბრძანებით მიენიჭა <u>საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ბაკალავრის ხარისხი და მენეჯერის კვალიფიკაცია</u> და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1 დათარიღებულია 2000 წლის 19 და 20 ივნისის რიცხვებით. დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნის მიზნით დასაზუსტებელია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილების თარიღის დაზუსტება. დავით ზაქაიძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში (B №04975, სარეგისტრაციო №01/65) მითითებულია, რომ *„დავით ზაქაიძე 1996 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე და 2000 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით დავით ზაქაიძეს მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაციით“.*

ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ იმ პერიოდში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე დაშვებული სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დამთავრების შემდეგ კი ფორმდებოდა შესაბამისი ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც წარმოდგენილი ოქმიდან ჩანს, 1999-2000 სასწავლო წელს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობით სახელმწიფო გამოცდაზე დაშვებული იყო 42 სტუდენტი და სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ იმუშავა ორი დღის განმავლობაში - 19 და 20 ივნისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის (№1) თარიღად განისაზღვროს 2000 წლის 20 ივნისი.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმისთვის (№1, 19-20 ივნისი, 2000) თარიღი განსაზღვრის საკითხი. კერძოდ, დაზუსტდეს ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის ბაკალავრიატის 2000 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 2000 წელს თსუ ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული განყოფილების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. დავით ზაქაიძე) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 19-20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის №1-ის თარიღად განისაზღვროს **2000 წლის 20 ივნისი.**

2. ზემოაღნიშნული პირობა გარცელდეს თსუ ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 19-20 ივნისი, 2000) მითითებულ ყველა დასწრებული განყოფილების კურსდამთვრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალი მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№13324/10, 22.05.2024), რომლითაც თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2000 წლის კურსდამთავრებულ **დავით ზაქაიძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ 1996 წლის 30 აგვისტოს მათემატიკაში ტესტირების შედეგების საფუძველზე II ნაკადის აბიტურიენტი დავით იურის ძე ზაქაიძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/643, 04.09.1996).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის 1999-2000 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულ **დავით ზაქაიძეს** საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 19-20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით **მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2000 წლის 10 ივლისის №4/613 ბრძანებით მიენიჭა **საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ბაკალავრის ხარისხი და მენეჯერის კვალიფიკაცია** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

დავით ზაქაიძისთვის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №1, 19-20.06.2000) მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/613, 10.07.2000) მინიჭებულ ხარისხთან/კვალიფიკაციასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა საკითხი და ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ზაქაიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“**. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 19-20.06.2000) მითითებულ დასწრებული სწავლების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 19-20.06.2000) გადწყვეტილება და ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ზაქაიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“**.
2. ზემოაღნიშნული ცვლილება გარცელდეს თსუ ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 19-20 ივნისი, 2000) მითითებულ ყველა დასწრებული განყოფილების კურსდამთვრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალი მომართვის შემთხვევაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი (№12562/10, 13.05.2024) რომლითაც თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ **ილია ბეჟაშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ილია ნოდარის ძე ბეჟაშვილი 1998 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ილია ბეჟაშვილს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №1) მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 25 ივლისის №4/954 ბრძანებით მიენიჭა **ვაჭრობის ეკონომიკის და მარკეტინგის ბაკალავრიატის ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ილია ბეჟაშვილისთვის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №1, 14.06.2002) მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/954, 25.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან/კვალიფიკაციასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა საკითხი და ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ილია ბეჟაშვილს ნაცვლად მინიჭებული **ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“**. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 14.06.2002) მითითებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 14.06.2002) გადაწყვეტილება და ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ილია ბეჟაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“**.
2. ზემოაღნიშნული ცვლილება გარცელდეს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 14 ივნისი, 2002) მითითებულ ყველა დღის განყოფილების კურსდამთვრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალი მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტისათვის შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

1.ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნია თოდუას** სადისერტაციო ნაშრომის - **„საქართველოს ჯანდაცვის სექტორში მომხმარებელთა ქცევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში**), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

შემფასებლები:

1. პროფესორი გიორგი ბერულავა (**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**)
2. პროფესორი თორნიკე ხოშტარია

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი დავით ნარმანია
2. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
3. პროფესორი ლელა კოჭლამაზაშვილი (**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**)
4. პროფესორი მარინა ალანია (**ალტე უნივერსიტეტი**)
5. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
6. ასოცირებული პროფესორი მარინე კობალავა
7. ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მაია სეთური
9. ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
11. ასოცირებული პროფესორი კახა ჯაყელი (**საქართველოს უნივერსიტეტი**)
12. ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს შემფასებლებისა და კომისიის წევრების წარმოდგენილი შენადგენლობა.

2.ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ლია კილაძის** სადისერტაციო ნაშრომის - **,,ორგანიზაციული მრავალფეროვნების გავლენა სოციალური საწარმოების მართვის ეფექტიანობაზე"** (მეცნიერ-ხელმძღვანელი:**პროფესორი დავით ნარმანია**), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

შემფასებლები:

3. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
4. პროფესორი მერაბ მიქელაშვილი (**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი თემურ შენგელია

3. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
4. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
5. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
7. ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
8. ასოცირებული პროფესორი ნათია დაღელიშვილი -გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
9. ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს შემფასებლებისა და კომისიის წევრების წარმოდგენილი შენადგენლობა.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე

1. **რიჩარდ გოშაძე - „საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის შრომითი პოტენციალის ფორმირება“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი მირიან ტუხაშვილი**

   ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

2. **რუსუდან ჯაყელი - „სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა ქცევაზე“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი ნუგზარ თოდუა**

3. **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ვალერიანე ჯოხაძის** მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი (**პროფესორი ომარ ფურთუხია**)

4. **სერგო გელაშვილი - აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში**

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასისტ. პროფესორი **ლალი ხურცია**

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა რევაზ გველესიანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებს დაუმტკიცდეთ წარმოდგენილი თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები.

მიმდინარე საკითხებში პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ

1. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის მედალი მიენიჭოს **აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძეს**;
2. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის სტიპენდია მიენიჭოს ეკონომიკის მიმართულების ერთ სტუდენტს. სტიპენდიის ოდენობა იქნება 400 ლარი;
3. მომავალში თითოეული კათედრიდან ერთი დოქტორანტი გათავისუფლდეს სწავლის გადასახადისგან;
4. მოხდეს საკონსულტაციო საათების მოდიფიცირება. საათების ნახევარი ჩატარდეს ონლაინ;
5. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ნაცვლად 27 მაისისა ჩატარდეს 31 მაისს;
6. სტუდენტებს ეცნობოთ, რომ მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდება გასაუბრების ფორმატით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **გ. ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **გ. ერქომაიშვილი**